უგანდის დედაქალაქში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ-ადმინისტრაციული ცენტრი აშენდება



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 12.28.2022. უგანდის დედაქალაქ კამპალაში აშენდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ-ადმინისტრაციული ცენტრი, – ამის შესახებ აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსმა, კლინის მიტროპოლიტმა ლეონიდემ ილაპარაკა 2022 წლის 27 დეკემბერს საერთაშორისო მედია-ჯგუფში – „Россия сегодня“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

„უწმიდესი პატრიარქის კირილესა და უგანდის პრეზიდენტის იოვერი მუსევენის კარგი პირადი კონტაქტების წყალობით, მიღწეულ იქნა, ჩემი შეხედულებით, უპრეცედენტო შეთანხმებები. არსებობს ურთიერთგაგება იმისა, რომ უნდა აშენდეს სულიერების განვითარების ადმინისტრაციული ცენტრი. ამასთან, ბატონმა პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ ეს კომპლექსურად იყოს დაკავშირებული მეცნიერებისა და კულტურის რუსული ცენტრის მშენებლობასთან; თუ იქ აშენდება ეკლესია, რომ ის იყოს ტიპიურ რუსულ სტილში ნაგები, „ხახვისებრი“ გუმბათებით, და რომ კომპლექსში შედიოდეს დაწყებითი და საშუალო სკოლები, ასევე, ჰოსპიტალი“, – განაცხადა მიტროპოლიტმა ლეონიდემ.

აფრიკის საპატრიარქო ეგზარქოსის სიტყვებით, დღევანდელი დღისთვის უგანდის პრეზიდენტმა თავისი ნაკრძალიდან უკვე გამოყო 6 ჰექტარი მიწა „დედაქალაქის საუკეთესო ადგილას – პირდაპირ პრეზიდენტის სასახლის წინ“.

მიტროპოლიტმა ლეონიდმა ასევე დასძინა, რომ დღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მოქმედებს აფრიკის 19 ქვეყანაში, რაც კონტინენტის მესამედზე ცოტა მეტია. საეგზარქოსოში გაწევრიანების შესახებ განცხადებების შემოსვლა კი სამრევლოებიდან არ წყდება, – იუწყება **Патриархия.ru РИА «Новости»**-ზე დაყრდნობით.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89901/